ოქმი:**ო47.47213582**
თარიღი:**24/12/2021**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ოქმი 14

***დ. ჩოხატაური* 17 დეკემბერი 2021 წელი**

სხდომის თავმჯდომარე- ირაკლი კუჭავა

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: ზაალ მამალაძე, ჯუმბერი ბერძენიშვილი, დავით გუდავაძე, მარინე ბერაძე, ზვიადი მამალაძე, ბიძინა ცინცაძე, ლაშა თოლორდავა, დიმიტრი კორიფაძე, გოგი ბოლქვაძე, გიორგი მათითაიშვილი, კლოდი მდინარაძე, გივი ჩხიკვაძე, ზვიად წეროძე, თემურ ხუხუნაიშვილი, ქეთევან სიხარულიძე, მანანა მინდაძე, დავით ტყეშელიაძე, გოჩა ჯიქია, ლაშა ირემაძე, მიხეილ თავართქილაძე, კახაბერ სიხარულიძე, კობა კალანდაძე, ნოდარი ცხომელიძე, ზაურ ზარბაზოია, ბაია ძნელაძე, მამია ბარამიძე, ხათუნა ბერიშვილი, ბაჩო ახალაძე, მარინე თავაძე,ნინო რამიშვილი.

არ ესწრებოდა: აკაკი ყაჭეიშვილი, ვლადიმერ სიხარულიძე, მაია გიორგაძე, ვალერიან ჩხიკვაძე, არჩილ სიხარულიძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის მერიიდან:

მაია გოგოლაძე - მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

ნიკოლოზ დუმბაძე - მერიის სოციალური სამსახურის უფროსი.

სხდომის თავმჯდომარემ ბარბარობის დღესასწაული მიულოცა საკრებულოს წევრებს, შემდეგ კი გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტარციული წარმოების დაწყების თაობაზე.

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტარციული წარმოების დაწყების თაობაზე.

<u>აზრი გამოთქვა:</u> ქეთევან სიხარულიძემ, მანანა მინდაძემ, ზვიადი მამალაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტარციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტარციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

I საკითხი:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტარციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მოისმინეს:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტარციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> **მამია ბარამიძემ,** რომელმაც კითხვით მიმართა პროექტის ავტორს, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს თუ არა, რაიმე სახის საბიუჯეტო სიახლეს.

ირაკლი კუჭავა: ბოლო წლებში ბიუჯეტში პრიორიტეტული სოციალური და იფრასტრუქტურული სფეროებია. ტენდენცია ისევ გაგრძელდება, სოციალურს დაემატება ახალი მუხლი.

მამია ბარამიძემ კითვით მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, 2022 წლის ბიუჯეტში ხომ არ არის გათვალისწინებული, უფასოს სასადილოს გახსნა - დაფინანსება, რომელიც წინა წლების დაპირება იყო.

ირაკლი კუჭავა: დამეთანხმებით, რომ ბიუჯეტი რაციონალური უნდა იყოს, ჩემი აზრით, უფასო სასადილითი მომსახურეობამ მარტო დაბაში მცხოვრები ბენეფიციარები არ უნდა მოიცვას, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მცხოვრები ბენეფიციარების მომსახურების (ვინც უფასო სასადილოთი მომსახურეობას საჭიროებს) თაობაზე, მერიიდან მოწოდებული წინადადებების

საფუძველზე ვიმსჯელებთ და მივიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას.

ზაალ მამალაზემ აღნიშნა, რომ სიახლეები ახალგაზრდულ პროექტებთან დაკავშირებით, რომელსაც ვგეგმავთ, მოგვიწევს თანადაფინანსებაზე მსჯელობა.

ქთევან სიხარულიძემ წინადადებით მიმართა საკრებულოს, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევით ვიმუშაოთ, რომ შეუმსუბუქდეთ მდგომარეობა მარტოხელა მოხუცებს გამოზამთრებაში.

ირაკლი კუჭავა საჭიროა მოვიძიოთ დონორები და თანადაფინანსებით მივიღოთ მონაწილეობა წარმოდგენილი პროექტის განხორციელებაში.

მამია ბარამიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტი არის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი და სასურველი იქნება ბიუჯეტის განხილვის პროცესში ჩაერთოს მუნიციპალიტეტის მერი.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

1. „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტარციული წარმოების დაწყების თაობაზე.

II საკითხი:

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტარციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მოისმინეს:

2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტარციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> **ნუკრი დუმბაძემ** რომელმაც საკრებულოს გააცნო სოციალური დახმარების გაცემის ახალი წესი და აღნიშნა, რომ სოციალური ბიუჯეტი 2021 წელში იყო 900.000 მდე,ლარი 2022 წელში კი გაიზარდება 1 134.000 მდე. ახალია მე-11 მუხლი, რომელიც დაკავშირებულია ბავშვთა უფლებების დაცვასთან, ეს ეხება ოჯახებს, რომლებიც არიან კრიზისულ მდგომარეობაში. ცვლილება ითვალისწინებს წლის განმავლობაში ერთჯერად დახმარებას, დაახლოებით, 800 ლარის ფარგლებში.

ზაალ მამალაძემ აღნიშნა, რომ სოციალური წესი არის ინსტრუმენტი ადამიანების

დასახმარებლად. 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში არის 2 ახალი მუხლი მე-11 (რაზეც ზემოთ ისაუბრა მომხსენებელმა) და კიდევ მე-2 ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია ეტლით მოსარგებლეთათვის მექანიკური ეტლების შეძენასთან; კიდევ რამდენიმე მუხლშია ცვლილება: ომში მონაწილეთათვის და 100 წელს მიღწეულთათვის ერთჯერადი დახმარების თანხები გაზრდილია.

მუხლში, რომელიც უკავშირდებოდა ცილაგამოცლილი პროდუქტების შეძენას, შესაბამისი საჭიროების მქონე პირთათვის, იქნება ზოგადი ბენეფიციარებისთვის მოხდება, როგორც ცილაგამოცვლილი, ასევე, ნახშირწყლებისგან გამოთავისუფლებული საკვები პროდუქტის შეძენა.

0-200,0 ათასამდე სარეიტინგო ქულის მქონე პირებზე ოპერაციისათვის 1000 ლარამდე საჭიროებისას, თანადაფინანსება იქნება 300 ლარი, ხოლო 1000 ლარს ზემოთ ღირებულების ოპერაცია დაფინანსდება 30% - ით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მოსაზრებებს წერილობით მივიღებთ ადმინისტრაციული წარმოების პერიოდში.

ირაკლი კუჭავამ მიმართა, მაჟორიტარებს, მაქსიმალურად ცნობადი გახადონ აღნიშნული მუხლების შინაარსი მოსახლეობისთვის და ზუსტად აუხსნან მათ, რით შეუძლიათ მათ სარგებლობა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 31

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 31 წევრი)

მიღებულია განკარგულება:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტარციული წარმოების დაწყების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი